

ათ. სობაქიძე



საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკი

K 19.067
2

ცხენისათი

სახე ელი მწიფო
გამომცემლობა
თბილისი
1952

798
საქართველოს სამთხუარის სამსახურის-დამსახური
066601070

საქართველოს სამთხუარის სამსახურის-დამსახური

ალ. რობერტი

ცხენებული

ძარღული ნაციონალური სპორტის
მუზიკი სახეობა

K 19.067
2



საქართველოს საქ.
სახელმწიფო გამოგვიანებების
თანამდებობის
1952

ବ୍ୟୋରମ୍ଭାଳିତା



ଲେଖକ ଶ୍ରୀ ପରିଚ୍ଛନ୍ଦ କୁମାର



ОБЕЗБУХТО — САКТУЛЫ БАСМАНДАЛУХО

БАСМАНДАЛУХО САКТУЛЫ

I

Гүзәнән сенүрән һәм оңларын өсөн саңырашада, һәм мәләпү
 „хәнгән“-өсөн, „хәнән“-өсөн, „сауле ажаб“-өсөн да һәвә
 саңырашылышынде би таңа үңнәмдәнән, үртәнән таңа
 ойна ғаүрәпәләе бүлән үмтәнәүрән саңда әлмәнәсәүләтән
 җәүүнән баштый. ғаүрәпәләе биңең әләгәйләнән да әләгәйләнән
 өнбәшәдәүүнәт өгөн һәвәнәләсәвә һәвәнәсә өйнә, әңгәнәтәнә
 һәрәләнәтә да Шәсәрүләе биңең өртәмәнә-
 тиңсәгән өнбәшәнәләнәвәнә ғаңсәвәзә бүлән.

Ам ғаүрәмәнәе биңең үгүләе бүләнүрә да үтәнәгән-
 әүләнә өнбәшәнәләнә ғаүтәнәләнәсүнәнә бүләнә ზөнгүләр
 ғаүтәнә бүләнә өнбәшәнәләнә. әңгә, өнбәшәнәләнә, өнбәшәнәләнә
 әңгәнәсүнәнә үгүләкүйнәдә биңең һәвәнәсә әләгәйләнәсә
 үлән. ғәрәләнә үлән әңгәнәләнә “Зәлән”-ы,
 һәм гәрәпәләнә өйнә ғаүрәпәләе бүлән თаңа өнбәшәнә, ¹ һәм өнбәшәнә
 өнбәшәнә өнбәшәнәләнә үлән “Жөнәнәд“-ын өнбәшәнәтәнә, ә. ө.

¹ Гордлевский Вл., Государство сельджукидов Малой Азии, М.—Л., 1941 г., 83. 164.

თამაზე. რომელიც მართალია ცხენოსნური სპორტის ერთ სახეობის წარმოადგენს, მაგრამ პოლოსაგან არსებითად განსხვავებულია.¹

ქ. დაშასკოში ხალიფების კარზე ამ სპორტულ თამაშს კადრაჟის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა; თამაშის ძირითად იარაღს თავკონბალა ჯოხი წარმოადგენდა² და ამ თავისებურებით იგი არსებითად განსხვავდებოდა ე. წ. „კოვზისმაგვარი“, „ჩაქუჩისმაგვარი“ და „მობანდული“ ჩოგნისაგან. ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ეს თამაში ქ. ბალდადშიაც.³

ირანში არსებობდა ცხენოსნური სპორტის ამ სახეობის რამდენიმე ვარიანტი. კ. ინოსტრანცები სპარსული ძეგლების შესწავლის შედეგად გაარკვია, რომ ირანში პოლოს ძირითად იარაღს „ბოლოში მოღუნული თავისებური ჯოხი“⁴ წარმოადგენდა. სპარსული მინიატურებისა და სხვალიტერატურული ძეგლების მონაცემების გათვალისწინების შემდეგ ამ იარაღს იგი ხან „ჩაქუჩის“⁵ უწოდებს, ხან ისევ „ბოლომოღუნულ ჯოხს“.⁶

¹ Гордлевский В. л., Османская свадьба, „Этнографическое обозрение“, 1914 г., № 3—4, გვ. 51—53.

² А. Кремер, *Culturgeschichte des Orients unter d. Chalifen*, I, Wien, 1875, გვ. 142.


³ მიხეილ, დასახელებული ნატრომი II, 1877 წ., გვ. 75—76.

⁴ Иностранцев К. К истории игры в поло, ЗВОРАО, т. XIV, в. IV, СПБ, 1902 г., გვ. 01:0—0111.

⁵ მიხეილ, Сасанидские этюды, СПБ, 1909 г., გვ. 74.

⁶ იგივე, გვ. 73.

СОВЕТСКАЯ
ХУДОЖЕСТВЕННАЯ
ГРАФИКА



№ 6. 1.

(А. Гюзальян и М. Дьяков. Французские миниатюры. М. — Л., 1935, С. 49).

სხვა სპარსული მინიატურების მოშველიების შედეგად შესაძლებელი ხდება ე. წ. სპარსული პოლოს ძირითადი იარაღის — ჩოგანის, სხვადასხვა სახეობათა თავისებურების უფრო კონკრეტულად წარმოდგენა.

ასე, მაგალითად, XVIII საუკუნის ერთ მინიატურაზე გამოსახული ჩოგანი თავისი ფორმით მართლაც წააგავს ჩაქუჩის (სურ. 1).

შაჰ-ნამეს ერთ მინიატურაზე, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული და რომლის თარიღი გაურკვეველია, ჩოგანი ისევ ჩაქუჩის მოყვანილობისაა, მაგრამ ფრთხები ოდნავ დახრილი აქვს¹ (სურ. 2).

ზემოხსენებული მინიატურების საშუალებით ირკვევა, რომ ირანში პოლოს ძირითადსა და ყველაზე გავრცელებულ იარაღს წარმოადგენდა ჩაქუჩის მოყვანილობის ჩოგანი; ამასთანავე, ზემომოყვანილ გამოსახულებათა შორის არსებული განსხვავება ვარიანტული ხასიათისაა და ამ სპორტული თამაშობის ტიპოლოგიურად დამოუკიდებელ ფორმას საფუძვლად ვერ დაედება.

ჩოგანის ეს ფორმა და მთლიანად თამაში ირანში

¹ ავტორი: Persian Art, 1931, 47 და 48, Розенберг Ф., Об индо-персидской и новоиранской живописи, „Восток“, в. 2, таб. I; P. Sykes, Ten thousand miles in Persia.., L. 1902, გვ. 340 და სუვ. ზემოაღნიშნულ მინიატურაზე მითითებისათვის და მისგან ფოტოგადაღების ნებართვისათვის მაღლობას ვუძღვნი ს. მ. მარს.



ପତ୍ର. 2.
(ଦରିଂଗାନ୍ଧେତିଲୁ ଓ ଶୁଣ୍ଯେଶ୍ଵରିଲୁ କଳେପିଗା).

აღწერილი აქვს ე. შარდენი¹. ეს აღწერილობა თამაშის წესებისა და ტექნიკის თვალსაჩირისითაც სავსებით ემთხვევა ზემოხსენებულ ელუსტრაციებს.

ჩოგანის მეორე ფორმა განსხვავდებოდა პირველისაგან. ეგი კოვზისმაგვარი იყო. ამ ფორმას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველიდ პ. საიკსმა მიაქცია ყურადღება. მაგრამ, რადგან მას ხელთ არა პეტრი ისტორიული წყარო, მან საადის პოეტურ მეტაფორებს მიმართა („ჩოგანის ბუდეში ყოფნაზე უტკბესია“) და, როგორც ეტყობა, ამის საფუძველზე აღადგინა კოვზისმაგვარი ჩოგნის ფორმა.

გარდა ამისა, ერთ სპარსულ მისტიკურ პოემაში ჩოგანი შედარებულია ახალ მთვარესთან („ჩოგანი, მსგავსი ახალ მთვარისა“); ეს შედარება გაუგებარი დარჩებოდა, რომ აქვე არა ყოფილიყო მოტანილი ბურთის მიმართვა ჩოგნისადმი: „შენ მიწიდან ამიღე და ზეამიყვანეო“. რადგან ჩაქუჩისმაგვარი ჩოგნით ბურთის მიწიდან აღება არ არის შესაძლებელი, საფიქრებელია, რომ აქ ავტორი კოვზისმაგვარ ჩოგანს გულისხმობდა².

¹ Voyages du Chevalier Chardin en Perse, ტ. III, Paris, 1811, გვ. 440.

² ხელაუწერი „ბურთი და ჩოგანი“ ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული (დორნის კატალოგი № 441); ხელნაწერის ფორმითი ჩამოტანილია დოც. გ. იმედაშვილის მიერ და ამეამად საქ. სსრ ფინკულტურის ინსტიტუტის არქივში ინახება; ესა და სხვა სპარსული წყაროების მომაცემები თარგმნილია დოც. ვლ. ფუთურიძის მიერ; ორივე ზემოხსენებულ პირს მადლობას მოვასენებ.

თურქეთში გავრცელებული ჩოგნის შესახებ ლექ
სიკოგრაფიული მასალა დოკ. ს. ჯიქიამ ჩოგ-
ვაწოდა; ამ მასალიდან ირკეცა, რომ თურქეთში
„ჩოგან თინამაკ“-ის სახელწოდებით ცნობილი
თამაშობის ძირითად იარაღს ბოლომოლუნული
ჯოხი წარმოადგენდა. რადლოვის განმარტე-
ბით ეს არის „ბოლომოლუნული ჯოხი, რომლი-
თაც თამაშის დროს ბურთს სცემენ“. ¹

თურქული ჩოგნის ასეთი განმარტება სხვა ლექ-
სიკონებითაც დასტურდება.²

ინდოეთში პოლოს ძირითად იარაღს ჩაქუჩის-
მაგვარი ჩოგანი წარმოადგენდა; ინდოეთიდან ეს
თამაში თითქმის უცვლელად ინგლისში იყო გა-
დატანილი.

ირანში დამოწმებული ცხენოსნური პოლოს წარ-
მოშობის დროისადა ადგილის საკითხი არა ერთ-
ხელ აღძრულა ლიტერატურაში. კ. ინოსტრან-
ცევი ამ თამაშობას ზოგჯერ ინდურ-სპარსულ
მონაპოვრად თვლიდა,³ ხოლო ზოგჯერ, უფრო
ზუსტად, ირანში წარმოშობილად მიიჩნევდა⁴ და-
ირანიდან დასავლეთ ეკროპაში მისი გავრცელე-

¹ Радлов В., Опыт словаря тюркских наречий, т. III, სიტუასთან ყევა.

² J. Redhouse, A turkisch and english Lexicon Gple, 1921 წ., ამ:ვე სიტუასთან.

³ Иностранцев К., К истории игры в поло, და-
სახელებული გამოცემ., გვ. 112.

⁴ ბისივ. Сасанидские этюды, დასახელებული გამო-
ცემა, გვ. 72.

ბის გზებს ეძებდა. თ. კორში საამისო ტერმინოლოგიურ მონაცემებს სამხრეთ-თურქეთის ენობრივ მასალას უკავშირებდა,¹ ხოლო ა. კრიმსკი ამაზე დაყრდნობით, ჩოგანბურთს თურქული წარმოშობის სათამაშოდ თვლიდა,² თუმცა არც ინდოეთს უგულებელყოფდა როგორც ამ თამაშობის შესაძლებელ პირველ სამშობლოს³.

უმეტეს შემთხვევაში ეს შეხედულებანი მხოლოდ ტერმინოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად იქმნებოდა; უყურადღებოდ იყო დატოვებული ხალხის ყოფაში დაცული ცოცხალი ეთნოგრაფიული მასალა, ხოლო საამისოდ გამოყენებული ზოგი ისტორიული წყაროს თავრსებურება იმთავითვე უნდობლობას იწვევდა, რასაც თვით ამ შეხედულებათა ავტორები არა ერთგზის აღნიშნავენ (კარტმერი, კრიმსკი, ინოსტრანცევი).

სრულიად უგულებელყოფილი იყო, მაგალითად, ის გარემოება, რომ ე. წ. სპარსული პოლოს მაგვარი ცხენოსნურ-სპორტული თამაშობა ფართოდ იყო გავრცელებული შუა აზიის ხალხთა ყოფაში, აზერბაიჯანში, სომხეთში და სხვ., სადაც იგი წარ-

¹ Ко рш Ф., Некоторые персидские этимологии, „Древности Восточные“, т. IV, М., 1913 г., гл. 2.

² Крымский А., По поводу этимологии слов „Чоган“ и „Саваджан“, „Древности Восточные“ т. IV, М., 1913 г., гл. 4.

³ гл. гл. 33, гл. 3—4.

მოადგენდა ხალხური ცხენოსნური სპორტის ძველ-
სა და მეტად პოპულარულ სახეობას; ზოგ ადგი-
ლას ხალხშია იგი დღევანდლამდე შემოინახა, ამ
კონკრეტული მასალის შესწავლას შეუძლია ახლე-
ბურად გააშუქოს ცხენოსნური სპორტის ზემოალ-
წერილი სახეობის ისტორიის ძირითადი საკითხები,
კერძოდ, მისი წარმოშობის დროისა და ადგილის
საკითხი.

საკუთრივ ქართული ისტორიული წყაროების
ზოგი მონაცემი და ეთნოგრაფიული მასალა თვალ-
ნათლივ უჩვენებს, რომ საქართველოში ძველთაგან
არსებობდა ცხენოსნური სპორტის ორიგინალური
ფორმა, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა
ზემოალწერილი პოლოსაგან, ცნობილი იყო ქარ-
თული ჩოგანის სახელწოდებით და რომე-
ლიც, როგორც ეტყობა, ადგილობრივ ნიადაგზე
იყო ჩამოყალიბებული.

II

ერთ-ერთი ადრინდელი ცნობა აქ დასხული საკით-
ხის შესახებ დაცულია თამარ მეფის პირველი
ისტორიკოსის თხზულებაში. დასახელებული წყარო
შოგვითხრობს საქართველოს მეზობელი ქვეყნების
მაჰმადიან მმართველთა შორის ატეხილ დინას-
ტურ დავას, რომლის მოწესრიგების მიზნით შარ-
ვან შამ და ამირ-მირმანმა თამართან
და დავითთან „წარმოავლინნეს მოციქულინ

შემოსახუეწელად ძლუნითა ურიცხუითა“, რაღვან
ამათ გარდა „არავინ იხილეს მჯსნელი და მიცუუ...
ვარი მათი“.¹

თამარის კარზე მოციქულები კარგად მიიღეს.
აკად. ი. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირე-
ბით შენიშნავს: „თამარ მეფის ისტორიკოსის მოთ-
ხრობა სრულს კეშმარიტებას შეიცავს“², და ამ
ეპიზოდს ქრონიკოგიურად 1191—1192 წლებით
განსაზღვრავს.

სამეფო კარზე, ამ შემთხვევის გამო, სხვა სანა-
ხაობათა შორის ბურთაობაც გამართულა. ქართ-
ველი მხედრების ხელოვნებით განცვიფრებულ ალ-
მოსავლელ სტუმრებს ალუნიშნავთ: „ერაყსა, ადარ-
ბალაგანსა და ერანსა ამათებრნი მობურთალნი არ
დარჩომილანო“³.

ამავე დღეს გაიმართა შეჯიბრება ბურთაობაში
სტუმრებსა და მასპინძლებს შორის. ისტორიკო-
სის სიტყვით: „ისლიმნი, დამჯერებელნი თავისა
მეცნიერობისანი და მძლემბრძოლნი, მსწრაფლ
იძლივნეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან
და შეიქცეს ძლეულნი და მჭმუნებელნი“⁴.

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქ. კიკი და ი-
ძის გამოცემა, თბილისი, 1941 წ., გვ. 104.

² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტუ-
ლისი, 1913 წ., გვ. 601.

³ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, დასახელებული
გამოცემა, გვ. 104.

⁴ ი.ქ.3.3.

თუმცა ამ ძეგლში ბურთაობა მოკლედ არის აღ.
 წერილი და საკუთრივ ჩოგანი არც არის მოხსენ
 ნებული. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აქ
 ნაგულისხმევია იმ დროს მთელს აღმოსავლეთში
 მეტად გავრცელებული და სამეფო კარის სპორ-
 ტულ გართობათა დამახასიათებელი ჩოგანბურ-
 თის ერთი სახეობა. საამისო საბუთის მოტანა არ
 უნდა იყოს ძნელი. „შაჰ-ნამე“-ს ქართულ თარგ-
 მანში „მობურთალნი“ იგივეა, რაც ორიგინალის
 „ბურთიან-ჩოგნაანი“¹. „ვისრამიანის“ ქართული
 ვერსიის „ბურთობა“, ირანისტების დაკვირვებით,
 ორიგინალის „ჩოგანბურთი“-ს სრულ შესატყვი-
 სობას წარმოადგენს². შ. რუსთაველის ცნო-
 ბილ თქმაშიაც „მობურთალსა მოედანი, მართლად
 ცემა, მარჯვედ ქნევა“ ჩოგანის ქნევაა ნაგულის-
 ხმევი. არჩილი ამბობს: „მათ ანალირებს, აბურ-
 თებს, დიდებს უკიდებს მაყებსა“³; მაყა, როგორც
 ცნობილია, ჩოგანბურთის დამახასიათებელი ელე-
 მენტია. მეორე აღვილას „ბურთობისა“ და „ჩოგან-
 ბურთის“ იგივეობა უფრო ნათლად მოჩანს: „ჩოგ-
 ნის მოხვრეტა, მობანდვა, სწორის ბურთისა გა-
 მოვრა, ბურთობის დროსა ასპარეზს პირმხიარუ-

¹ აბულ კასიმ ფირდოსი, შაჰ-ნამე, თბილისი, 1934 წ., სტრ. 5114–5115.

² ვისრამიანი, ა. ბარამიძის, 3. ინგოროვასა და კ. კოკილიძის რედაქციით, თბილისი, 1938 წ., გვ. 91.

³ არჩილი, გაბასება., თბილისი 1936 წ., სტრ. 315.

ლად გამოკრა, ცხენის მოხტომა უხელოდ, იმის
დროს ფიცხლად გარდმოკრა“¹.

ბურთაობის თეიმურაზისეული აღწერილობა მხრივ
ლოდ ჩოგანბურთის სახეობებს შეიცავს; სხვა სა-
ხის ბურთაობა თეიმურაზს არც აქვს მოხსენე-
ბული². ასევე აქვს გაგებული სააღდგომო ბურთა-
ობის ვახუშტისეული აღწერილობა სილოვან
ხუნდაძეს, რომელმაც XIX საუკუნის ოთხმო-
ციან წლებში საგანგებო წერილი უძლვნა ძველე-
ბურ ქართულ ასპარეზობა-გართობას³.

მაშასადამე, XII საუკუნის საქართველოში ცხე-
ნოსნური სპორტის ის სახეობა, რომელიც ზოგ-
ჯერ „ბურთობის“ სახელწოდებითაც იყო ცნო-
ბილი და არსებითად, როგორც ჩანს, ჩოგანბურთის
ჭარმოაღგენდა, განვითარების იმდენად მაღალ
დონეზე იდგა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების სა-
მეფო კარის კარგად მცოდნეთა შორის გაკვირვი-
ბას იწვევდა. იმდროინდელი ფეოდალური საქარ-
თველოსათვის ეს არც უნდა ყოფილიყო უციო.

აქვე აღნიშნავთ, რომ ჩოგანბურთი არ ყარ-
მოაღგენდა მხოლოდ გართობის საშუალებას; იგი
უთუოდ სამხედრო-ფიზიკური აღზრდის მიზნებს

¹ არ ჩილი, საქართველოს ზნეობანი, თბილებათა სრუ-
ლი კრებული, ტ. I, დასაცელებული გამოკვემა, სტო. 27.

² თეიმურაზ 11, სარკე თექულთავ, თბილებათა სრუ-
ლი კრებული, გ. ჯაკობიას გამოცემა, თბილისი, 1927 წ.

³ ავტორი ბურლესი სტუდენტი, ძველებური ქარ-
თული ხალხური გართობანი, „ივერია“, 1885 წ., ს. 89—121.

ემსახურებოდა და როგორც სამხედრო მომზადების მნიშვნელოვანი საშუალება სახელმწიფო ბრძანები ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. „სიასეთ-ნაკრებ მე“-ს მიაედვით ელჩებს სხვა საკითხთა შორის ევალებოდათ გაეგოთ რა წესით სრულდებოდა ჩოგანბურთის თამაში ამა თუ იმ სამეფო კარზე¹.

XIV ს. საქართველოში „ბურთი, ჩოგანი, ცხენი უკეთესი“ სახალწილო ძღვენს წარმოადგენდა, რომელსაც ამირ-სპასალარი მეფეს მიართმევდა ხოლმე.²

მაგრამ კონკრეტულად რა სახეს ატარებდა ეს თამაში საქართველოში ძველად? რა წესები გააჩნდა მას? როგორი ტექნიკით სრულდებოდა იგი? ამ კითხვებზე ზემოხსენებული ძეგლები არაფერს გვეუბნება.

ასეთი კონკრეტული აღწერილობა მხოლოდ მოგვიანო ხანებში ჩნდება. XVII და შემდგომ საუკუნეთა ქართული და არაქართული წყაროების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ იმდროინდელ საქართველოში არსებობდა ჩოგანბურთის სულ ცოტა ორი მკვეთრად განსხვავებული სახეობა. ჩოგანბურთის ერთი სახეობა გულისხმობდა ორი დაპირისპირებული ჯგუფის ისეთ თამაშს, რომლის ძირითად გიზანს შეადგენდა ბურთის გატანა მაყაში (სათა-მაშო მოედნის ბოლოებში დასმული ნიშნები),

¹ Сиасет-Намэ, Книга о правлении вазира XI столетия, Низам Ах — Мульк, М.—Л., 1949 г., гл. 102.

² კელმწიფის კარის გარიგება; ეჭ. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1920 წ., გვ. 15.

ხოლო მეორე სახეობა — რამდენიმე პირთა შე-
ჯიბრს ბურთის გატაცებასა და მის გათვალისწიფრებაში:

ჩოგანბურთის პირველი სახეობა, რომელსაც,
როგორც შემდეგ დაეინახავთ, „გაღრი“ ეწოდე-
ბოდა, აღწერილია თეიმურაზის მიერ. აი ეს
აღწერილობა:

- „592. დაამხადებენ საბურთლად ვაჟყაცებს ჩოგანითა-და,
და ცხენს კაცისა შეადარებენ წილისა მოღებათა-და.
593. ორად გაჭყოფენ, თეითოს მხარს თორმეტს იქმონენ
კაცებსა,
მობურთალს კაცის თავშედა მას დღეს მისცემენ
ფარჩებსა,
- ზედ გარდაშლიან ფერადსა იქით და აქეთ მაყებსა,
და მათთვის სასქელად შეაჩინათსა თულუხით დასდგმენ
საესებსა,
594. მობურთლებს ბურთი შეუგდონ შეაწედ მოედამსაო,
იშყონ მოკირვით ბურთობა, ცდილობდენ
გარდახრასაო,
ზოგი სკემს შიგნით და ზოგი ნაპირს ურბენდეს
მშასაო,
და გამოუკარდეს გარს ბურთი, ეცადოს მოტაცნასაო.
595. მაშინ გამომნდეს, ვინც იყოს მაყამდის ბურთის
წამლები.
ეცადოს დაბრუნებასა სხვა კაცი ხელის დამლები,
ხელ-უკუღმათა შემოქმნას მაღალი, თავის საელები,
და რა დაუბრუნოს მას ბურთი, იქმაების გულის საკლები.
596. ვინცა იცის კარგად ტაცნა, ცხენის ყელს არ აცილოსა,
ასე უნდა გარცებაროს, თავი აღარ აიღოსა,
ბურთი ჩოგნისა ცემითა მაყამდინა წაიღოსა,
და ხელ გარდაცოდეთ შემოკერა ზნეობაში ჩაიგდოსა.
597. გამომნდეს საღავის ცოდნა ჯრასა და ბურთობაშია,
ვინცა ამ რიგად იძურთებს, იქმნების ამანაგშია,

საქართველოს მთავრობის მიერ განკუთხული დოკუმენტი

რომელიც იქით და აქეთ გააძვრენს ბურთს მაყალა,
და ჯობნა ეს არის! — გახვევნ ფარნებსა აღებაშია.

598. აიღონ თვითო თვითომან, ამხანაგს ვინც აჯობისო,
ცხენს აკერებენ, იძახდენ: „მეგობი ვარ ამხანაგისო,
ჩვენ შევიტებით წითლისა ფარნით შემხვევი ჩოგნისო!“
და ეს კი გათავდეს, სხვა რიგი ვთქვა ბურთის
თამაშობისო!

გაშასაღამე, გადრის მოთამაშეთა თითოეულ
ჯგუფში 12—12 ვაჟკაცი შედიოდა; თამაშეს გა-
აჩნდა გარკვეული წესები — თამაშის შუა მოედ-
ნიდან დაწყება, „მოჭირვით“ ბურთაობა, ბურთის
„გარდახრა“, „ხელუკულმათა“ და „ხელგარდაყო-
ფით“ შემოკვრა, „შიგნით ცემა“ და სხვ.; ყოველ
ცალკეულ მოთამაშეს თავისი გარკვეული ფუნქცია
ჰქონდა მინიჭებული — „ნაპირზე მარბენალი“, „ხე-
ლის დამლები“, „ბურთის მაყამდის წამლები“
და სხვ.

ჩოგანბურთის ეს სახეობა ერეკლე II დრო-
საც იყო ცნობილი. თელავის ალწერაში, რომე-
ლიც შედგენილია ოლექსანდრე ორბელია-
ნის მიერ (1857 წ.), ჩოგანბურთის თამაში, რომ-
ლის დროსაც პირველი ბურთი თვითონ მეფეს
გაუგდია ორ რაზმად დალაგებული მხედრებისათ-
ვის, საკმაოდ კარგად არის ალწერილი; როგორც

¹ თეიმურაზ II, დასახელებული თბეთუება, სტრ.
592 — 598.

2. ცხენბურთი.



თვითონ აეტორი ამბობს „მითამ შეც იქ ყუ-
ფილი ვარო“¹.

ამ თამაშობის პარალელური ფორმა XII საუკუ-
კუნის ბიზანტიიშია დამოწმებული. ამ აღწერილო-
ბის მიხედვით ჩოგანბურთს მხედართა ორი ჯგუფი
მობანდული ჩოგნებით თამაშობდა². ეს თამაშობა
ბიზანტიიში აღმოსავლეთიდან შეტანილადაა მიჩ-
ნეული³.

ა. გალუსტიანის ცნობით, ასეთი თამაში
„ხოლ“-ის სახელწოდებით სომხეთშიაც ყოფილა
ცნობილი⁴. აეტორი სამწუხაროდ არ ასახელებს
ამ ცნობის არც დროს და არც წყაროს, ხოლო
თუ ამ ცნობის წყარო „დავით სასუნელია“, რო-

¹ ალექსანდრე ვასტანგისძე ჯამბაკურ-ორ-ბელიანი, თელავის აღწერა, საქ. მუსეუმის ხელნაწერთა ფონდი S, № 1650. ეს ხელნაწერი ყურადღებას იქცრობს ჩოგნის აღწერილობითაც: „ტარი ქეონდა ერთი მყლავის სიგრძე, თავი კომბალისავით მოყვანილი, ბოლო ერთი მტკაველი მრგვალი ნიჩაბი, რომლითაც ამით ბურთაობდნენ ისე რო-
გორც აღვწერეთ“. თუ ეს აღწერილობა სწორია, აქ მოხსენე-
ბული ჩოგანი (მრგვალი ნიჩაბი) რამდენადმე უნდა გამსხვავ-
დებოდეს მობანდული ჩოგნისაგან.

² Иоанн Киниам, Краткое обозрение царство-
вания Иоанна и Маврикия Коминов (1118—1180), СПБ,
1859 г., გг. 292—293.

³ J. Jusserand, La sports..., II ed., Paris, 1901,
გვ. 315.

⁴ Галустян А., История физической культуры в
древней Армении, Очерки по истории физической
культуры, в. IV, М.—Л., 1949 г., გვ. 151—152.

შელიც აკტორის მიერ მომდევნო სტრიქონშია მოხსენებული, ბურთაობის აქ მოყვანილი აღწერა და ლობა არ შეიცავს არც ერთ ელემენტს, რომელიც ბურთის თამაშის მის მიერ მოყვანილ სახეობაზე მიუთითებდეს. მომდევნო გვერდზე ა. გ ი ლ უ ს-ტიანი ამბობს, რომ ბურთის თამაში „ხოლ“ ფართოდ იყო გავრცელებული სომხეთში, საქართველოსა და სპარსეთში და საამისოდ იმოწმებს „დავით სასუნელს, „ვეფხის ტყაოსანს“ და „შაჰნამეს“. ეს დებულება ჩვენთვის გაუგებარია, რადგან მის მიერ ზემოალწერილი „ხოლ“-ის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს (მობანდული ჩოგანი) არც ერთ აქ დასახელებულ წყაროში შესატყვისობა არ მოეპოვება.

ჩოგანბურთის ზემოალწერილ ფორმასთან ერთად საქართველოში თანაარსებობდა ჩოგანბურთის მეორე სახეობა, რომლის ერთი ყველაზე აღრინდელი და ამავე დროს სრული ალწერილობა ა. ლამბერტის ეკუთვნის; ეს ალწერილობა, როგორც პარალელური მასალით იჩქევეა, სანდოობის თვალსაზრისითაც პირველთაგანია. ა. ლამბერტის ცნობით, 8—10 მოთამაშე ჯდება საუკეთესო ცხენებზე, ხელში იღებს racheta-ს (ქართულად ჩოგანი ეწოდებაო), რომლის ტარი 4—5 მტკაველს უდრის და რომლის ბოლო ამობანდულია; ჩოგნის ამობანდული რკალი ერთი მხრიდან ლია ყოფილა მიწიდან ბურთის ალების გა-

ადვილების მიზნით. ყოველი მოთამაშე ცდილობს ჩაიგდოს ხელში ბურთი და გარკვეული წესის დაცვით შეათამაშოს იგი. ეს თამაში ა. ლამბერტის თქმით მიეკუთვნება თამაშობათა იმ რიგს, რომელიც გვხვდება მხოლოდ „სამეგრელოში, საქართველოში და მეტი არსად“¹.

ა. ლამბერტის ზემოხსენებულ ალწერილობას მშენივრად ეთანხმება, ავსებს და აზუსტებს ქასტელის ილუსტრაციები². ქასტელის ჩანახატებში ჩოგანბურთი ზუსტად ისე გაძოიყულება, როგორც ეს ა. ლამბერტის აქვს ალწერილი.

ქასტელის ერთ ილუსტრაციაში გამოსახულია ოთხი მხედარი, რომელთა შორის სამს რკალდახურული ჩოგანი უჭირავს (სურ. 3).

მეორე ილუსტრაციაზე ასევე ოთხი მხედარია; მათ ყველას რკალგახსნილი ჩოგანი აქვს ხელში (სურ. 4).

მესამე ილუსტრაციაზე ჩოგნის სურათი ვგონებ დამთავრებული არ არის (სურ. 5).


განსხვავებით ზემოაღწერილი გადრისაგან ამ შემთხვევაში თამაში წარმოებდა ერთ ჯგუფად; თამაშის ძირითად მიზანს წარმოადგენდა არა ბურთის მაყაში გატანა, არამედ მისი წართმევა და გარკვეული წესით მისი ჰაერში შეთამაშება.

¹ Ламберти А., Описание Колхиды, СМОМПК, 43, Т. 1913 г., გვ. 104—105.


² ქასტელის ჩანახატების ალბომი ინახება საქ. სსრ მეცნერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ბიბლიოთეკაში.



Fig. 3. (Palanquin and horsemen).



Խոր. 4.
(Կասրը լուս ալծոմուռան).



სურ. 5.
(კასტროლის ალბომიდან).

ქართულ წყაროთა შორის ლამბერტი-კას-
ტელის მიერ მოცემული ჩოგანბურთის სრულ
შესატყვევისობას „რადრაბაგანის“ თეიმურაზის ეფული
აღწერილობა წარმოადგენს. თეიმურაზთან ვკით-
ხულობთ:

599. „ერთი არის სხვა ბურთობა რადრაბაგანს ეძახიან,
გადრის ბურთის უფრო ესე ზნეობაში ჩააგდიან,
ბევრს კი არა, სამს-ოთხს კარგსა მებურთალსა
და ოთხისათვის სათამაშიდ ბურთი მიწას გააგდიან.
შეადრიან,
600. ის არის, რომე ცხენ-მალეთ ბურთი აიღოს ჩოგნითა,
უნდა შეიგდოს მან მალლა ცხენისა თამაშობითა,
როს ჩამოვიდეს, ხელ-ფიცხად მიუხდეს კაის ცოდნითა,
და რა ბურთი შეხტეს, შემოპყრას ხელ-რადათ მალლა
ტყორცნითა.
601. ბურთი შეიგდოს, ეცადოს მერმე ფერჩების ქმნასა-და,
სანამ ჩამოეა, დაასწრებს ჩოგნისა შეგდებასა-და,
ჩოგნისა ქათალ-მალაყი კვრამდინა დაასწრასა-და,
და ის ჩაუვარდეს სამჯერა, ზედი-ზედ თუცა პკრავსა-და.
602. ორი რადათა მესამედ უნდა წინ ამოკვრანიო,
უნდა დაასწრას ამოკვრას ქიჩილოვის ქნანიო,
ესეები ქნას, შესძახოს „ტე-ტეიიას“ ხმანიო,
და დასრულდა ეს ხომ დრო არის აწ სხვის ზნეობის
თქმანიო?“¹

¹ თეიმურაზ II, დასახელებული თბზულება, სტრ.
599—602.

ამ აღწერილობით მონაცილეთა რაოდენობა:
3-4 კაცს არ აღემატება; მონაცილენი, ისევე როდენი
გორუ ლამბერტის აღწერილობაში და უასეჭვავა
ტელის ილუსტრაციებში. ერთ ჯგუფად თამაშო-
ბენ. აქაც თამაშის ძირითად შინაარს ჩოგნისა და
ბურთის ჰაერში შეამაშება შეადგენს და არა,
ბურთის მაყაში გატანა.

დაახლოებით ასევე აქვს გაგებული ეს თამაში-
ჩვენს მიერ უკვე მოხსენებულ სილოვან ხუნ-
დაქეს; თეომურაზის ტექსტის აქ მოყვა-
ნილი ადგილის განმარტებისას იგი ამბობს: „აქ-
დან ჩანს, რომ ჩოგნის-ბურთაობის დროს ცხე-
ნოსნები დამწერივდებოდნენ. ერთი მათგანი, რო-
მელიც კიდეში იდგა, ააგდებდა ბურთსა და მისი
მეზობელი ცდილოპდა მოერტყა ბურთისათვეს;
ჯოხი (ჩოგანი). ის ცხენოსანი, რომელსაც უკა-
ნასკნელად ცვდებოდა ბურთი, დადგებოდა ხოლო კ-
პირველ ადგილას და იწყებდა თამაშს“.

ამ შემთხვევაშიაც თამაშობის წერილი მკვეთრად
არის ჩამოყალიბებული. თამაში იწყება ბურთის
მიწაზე გაგდებით; მოთამაშენი ცდილობენ „ცხენ-
მალეთ“ აილონ ჩოგნით ბურთი; ბურთის ამ-
დებმა უნდა შეათამაშოს ცხენი და ბურთი ჰაერში
ააგდოს; ბურთის მიწაზე დაცემის მომენტში მო-
თამაშენი მას „ხელ-ფიცად მიუბადებიან“ და ბურთს
ჩოგანს შემოჰკრავენ „ხელ-რადათ“ (ს. ორბე-
ლიანის განმარტებით: „ჩადი არს მცირედ ცალ

მკარეს გაშრუდებული“); ბურთის მიწაზე დაცი-
შამდე მოთამაშემ ჩივანს უნდა გააკეთებინოს „ქა-
თალ მალაყი“ (პეტერბურელი სტუდენ-
ტის ვარაუდით: „ჩოგნის ზევით იგდების და
ტრიალ-ტრიალით წამოსვლას უნდა ნიშნავდეს“).

ასე უნდა მოიქცეს მოთამაშე ორჯერ; ამის შემ-
დეგ ბურთს მესამედ უნდა ამოჰქიას, მაგრამ დარ-
ტყამდე ჩოგანს უნდა გააკეთებინოს „ქიჩილო-
ვია“ (ს. ორბელიანის განმარტებით „ჩოგნის
ბრუნებაა“).

არჩილს ამ თამაშობათა სახელშოდებანი აქვს
მოცემული: „რადრაბავანი“ (მეორე ადგილას შე-
მოკლებით „რაზი“) და „გადრი“, რასაც ჩოგან-
ბურთის ამ თუ ვარიანტს შორის განსხვავებისა
და მათთვის ღიფერენციალული ტერმინების დად-
გნისათვის გარკეთელი მნიშვნელობა ენიჭება. გა-
დაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლამბარტის
„ჩოგანი“, კასტელის „ბურთის თამაში“, თეი-
მურაზის „რადრაბავანი“ და არჩილის „რა-
დი“ იმ ქართული სამხედრო ვარჯიშობის აღმ-
ნიშვნელი ტერმინებია, რომლის თავისებურებაზე
ა. ლამბარტი ასე ნიშანდობლივად მიუთი-
ოებდა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ა. ლამ-
ბარტის ზემომოყვანილი ცნობის ის ადგილი,
რომელიც შედარების ელემენტს შეიცავს და ქარ-
თული ჩოგანბურთის თავისებურებას — მის მხო-
ლოდ საქართველოში გავრცელებულობას — უსვამს

ხაზს (რომ ჩოგანბურთის ეს სახეობა შედარებით გადართან მეტის პოპულარობით სარგებლობდა, ამასე ხომ თეიმურაზიც მიუთითებს: „რადრაბაგანზე ივი ამბობს: „გადრის ბურთის უფრო ესე ზნერბაში ჩაგდიან“). ა. ლამბერტის ამ დაკვირვებასთან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფ. გორგიჯანიძის ცნობას, რომელიც დაცულია ზაღლ ერთსთავისა და იოთამ ამილახვრის ირანის შაქთან გამგზავრების აღწერილობაში. ამ ადგილას ვკითხულობთ: „ყაენმან ორთავეს ქართული ჩოგანი ადამაშა და ორთავ ოქროთ შეკაზმული ბედაური ცხენები უბოძა“¹.

დოინიჯო კარლის ცნობითაც (XVII ს-ის ოთხმოციანი წლები) ქართველებს „განსაკუთრებული თამაშობანი“ ჰქონიათ, რომელთა შორის მას აღწერილი აქვს ჩოგ. ნბურთიც².

აღნიშნული აღწერილობის მიხედვით: „ამ თამაშობისათვის ჩოგანი ჩამოარიგეს. ეს ჩოგნები ჩვენებური რაკეტაბის (Rachetta) (ბურთის სათამაშოდ რომ იხმარება) მსგავსადაა გაკეთებული,

¹ ფ. გორგიჯანიძე, როსტომ მეფის ცხოვრიბა, ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, II, 1854 წ., გვ. 226.

² დოინიჯო კარლი, თბილისის აღწერა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბილისი, 1951, გვ. 177—179.

მაგრამ ამათი ჩოგნის ტარი უფრო გრძელია და
მას უსათუოდ ცხენაე მსხდარნი თამაშობენ. ამ-
ხალხის ამგვარ ვარჯიშობაში ნახვას არაფერი
სჯობია. პირდაპირ განმაცეიურებელია მათ მიერ
ცხენის ოსტატური, ერთანანეთზე დაუჯახებლად
მართვა, ჩიტიდან ბუროის აღება (ჩვენს ბურთზე
უფრო დიდია) .. სპარსელები, რომელნიც ყოველ-
თვის ესწრები. 6 ქართველთა მსგავსსა და სხვა
კურაცუო გართობა-თამაშობებს, ისეთნაირად აღ-
წერენ მათ; რომ ზოგჯერ დაუჯერებელიც არის-
ამით ისინი პატივით მოსავენ ქართველთა მეომ-
რულ ლირსებას¹.

ქართული და უცხოური წყაროების ეს ტრადი-
ციი XIX საუკუნეშიაც იჩენს თავს. „თბილისის
უწყებებში“ მოთავსებულ ერთ-ერთ წერილში მო-
ბანდული ჩოგნით ცხენოსნური ბურთაობა უძვე-
ლეს ქართულ თამაშობათა რიცხვშია
ჩათვლილი:

თეიმურაზ ბაგრატიონი სიტყვა ჩოგანის
განმარტებისას ამბობს: „ქართული მხედართ ბურ-
თის საგდებელი და საგორებელი, რომელსაც მო-
კავებული ავს და ბადესავით ლარით გაბმული
აქვს მოკავებული. იგი ლარი დაგრეხილი, ძრო-
ხისა ანუ ცხვრის ნაწლევთაგან, მსხვილს ძაფსავით

¹ Г о р Г., Древние грузинские игры, „Тифлисские Ве-
домости“, 1870 г., № 27.

გაკეთებულია... ცხენ და ცხენ ბურთსა ჩოგნით
თანაშობენ და ქვეითათაც"¹.

ზემოხსენებულ წყაროთა შორის რიგიც ცნობის
ქრონილოგიის აბსოლუტური თანხეედრილობა,
ქართული ფ. გორგიჯანიძე და უცხოური
(ა. ლამბერტი) ცნობების ერთპირიანობა, ამ
ლიტერატურული ტრადიციის შემონაბულობა XIX
საუკუნემდე უდავო საბუთი უნდა იყოს იმისა, რომ
უკვე XVII საუკუნეშა ახლო აღმოსავლეთის ქვეყ-
ნებსა (ირანი) და ევროპაში (იტალია) კარგად
იყო ცნობილი საქართველოში ცხენოსნური ბურ-
თაობის ორიგინალური სახეობის არსებობა; ეს
თამაშობა ძირითად ნაწილში (იარაღი, თამაშის
წესები) არსებითად განსხვავდებოდა აღმოსავლე-
თის ქვეყნებში გაურცელებული პოლოსაგან, სა-
ქართველოში მძლავრად იყო განვითარებული და
სწორედ ამიტომ მას „ქართული ჩოგანი“ შეერქვა.

ჩოგანბურთი თავისი კლასიკური სახით ფეო-
დალური არისტოკრატიის გასართობსა და მაცდ-
რობის საერკვიშოს წარმოადგენდა. მაგრამ ხომ
არ მოიპოვება ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვი-
ლეში ისეთი მონაცემები, რომელთა გათვალისწი-

* თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა
„ცეცხლის ტკაოსნისა“, 1843, საქ. სახ. მუსეუმის ხელნაწერთა
ფონდი S, № 3716.

ნება ხილს შეუწყობდა ცხენოსნური სპორტის ამ
სახეობის აღრინდელი ხალხური ფორმების გარეთ
მოვლინებას?

III

საქართველო ძველთაგან ცნობილი იყო რო-
გორც განვითარებული ცხენოსნური სპორტის
ქვეყანა; ცხენოსნობა საქართველოში წარმოად-
გება სპორტის ხალხურ სახეობას. საამისო სა-
ბუთები ჩვენთვის მრავლად შემოუნახავს ცოცხალ
ეთნოგრაფიულ სინამდვილეს და წერილობით
ძეგლებს.

დოკ. ვ. ელაშვილის მიერ დამოწმებული
ცნობებით „ცხენნი“ — ცხენოსნური შეჯიბრი, რო-
გორც ერთ-ერთი ელემენტი მიცვალებულთან და-
კავშირებული წესჩვეულებებისა, ხევსურთა წარ-
მოდგენით ძველთა-ძველი ინსტიტუტია¹. ამ რთული
და აუცილებელი რიტუალი, შ. სრულება ცხენისა
და მაცეულის ხანგრძლივესა და სისტემატურ ვარჯი-
შობას მოითხოვდა. ცაენის საამისო წრთვია ხევ-
სურეთში აგებული იყო საუკუნეთა განმავლობაში
გამომუშავებულ პრინციპებზე. რომლებიც განსაზ-
ღვრავდნენ ცხენის კეების რეების, მისი წრთვის
დროს, ადგილსა და სხვა პირობებს; ცხენის მოვ-

¹ ვ. ელაშვილი, ცხენნი, საქ. სსრ ფიზკულტურის სა-
შეცნოქრო-კვლევითი იმსტიტუტის არქივი, № 35 (ხელნაწერი).

ლა-პატრონობის და მისი განედნვა-ვარჯიშობის
წესები დამყარებული იყო ცუენის ყოველმხრივ
ცოდნაზე რაც, თავისთავად. ხანგრძლივი გამოც-
დილებისა და გონიერი დაკვირვების ნაყოფა წარ-
მოადგენდა.

ხევსურეთში საგანგებო წრთვნას გადიოდნენ
მომავალი მხედრებიც, ბიჭები. დაწყებული ით
წლის ასაკიდან. გამოცდილი მხედრების ძეთვალ-
ყურების ქაშ და მათის ხელმძღვანელობით, სის-
ტეზოტურად ეუფლებოდნენ მხედრულ ხელოვნებას.

„ცხენნ“. ში მონაწილეობდა მხედრების მნიშვ-
ნელოვანი რაოდენობა. ცხენის გამოყვახა იმ წეს-
წვეულების შესრულების დროს სავალდებულო
იყო გარდა ვალებულის დედისძმისათვის, ცოლის
ნათესავებისათვის, მისი ბიძაშვილებისა და თანა-
სოფულელებისათვის.

ამ წესჩეულების შესრულება ცხენისა და მხედ-
რის მე ად სერიოზულ გამო ედას წარმოადგენდა.
„ჭირისპატრონის“ მიერ დაწესებული მარტოუტის
გადალახვა ოგზოობისა და მალალმთიანეთის პი-
რობებში ცხენისაგან განსაკუთრებულ გამძლეობას
მოითხოვდა, ხოლო მხედრისაგან - სიმამაცესა და
უბელო ცხენს დაოსტატებულ მართვას.

ამ წესჩეულების ეთნოგრაფიული არსი ორ
განულად უკავშირდება ხევსურთა ადრინდელ
ზნე-ჩვეულებებს და. როგორც ეტყობა, წარ-
მოადგენს მის ერთ-ერთ უძველეს კომპონენტს,

მიცვალებულთან დაკავშირებულ წესჩვეულებრივ
ერთ-ერთ ძირითად ელემენტია!

ხევსურული „ცხენის“-ის მსგავსად თუშერი „ხად-
გინი“-ც ცხენოსნერი შეჯიბრია. აქაც მიცვალე-
ბულის კულტთან დაკავშირებული. დაც. რ. ხა-
რაძის მიერ დადგენილი მასალით, შესაბამისად
ამ წესჩვეულებისა, „სალგინ“-ში მონაწილეობა
უნდა მიეღოთ თავისი ცხენებით მიცვალებულის
გვარის წევრებს, მის თანასოფულელებს, დედის-
მშას, კოლისმშას, სიძეს. ძმობილს და სხვ².

სამეგრელოშიც მიცვალებულთან დაკავშირებულ
წესჩვეულებათა შორის „ჯირითს“ ბნიშვნელოვანი
ადგილი ეჭირა³. სხვათა შორის, ამ დროს ბრ-
თაობაც სრულდებოდა ქოლმე. ანალოგიური ფაქ-
ტები დამოწერებულია საქართველოს სხვა კუთხე-
ებშიც.

საქართველოში ჯირითის ასეთი ფართო გავრ-
ცელება, მისი ორგანიზაციისა კავშირი ქართველთა
უძველეს წარმოდგენებთან და ამასთან ერთად,

¹ მ. ბალიაშვილი, მიცვალებულთა კულტი არჩოტში,
„მასალები საქ. ეთნოგრაფიისა კულტი“, ტ. III, თბილისი,
1940 წ., გვ. 25—35.

² რ. ხარაძე თუშეთის 1946 წლის ეთნოგრაფიული
ექსპედიციის დღიური, რვ. № 5 (ხელნაწერი).

³ თ. სახოჭია, მიცვალებულთა კულტი სამეგრელოში,
„მასალები საქ. ეთნოგრაფიისა კულტი“, ტ. III, თბილისი, 1940 წ.,
გვ. 185.

ჯირითის შესრულება განსაკუთრებულად მძიმე და
რთულ პირობებში მაედრული ხელოვნების ძველ-
თაგან მომდინარე ტრადიციებისა და განვითარებუ-
ბია მაღალი დონის მაუწყებელია. ამას ისტორიუ-
ლი წყროებიც ადასტურებს.

უადრესი ძეგლი (ჩენგვის ცნობილთა შორის),
რომელიც ქართველების წ. ნაპარ ტომთა ყოფაში
მაედრული ხელოვნებას მაღალგანვითარებულ დო-
ნებებ მიუთითებს, ძველი წელთაღრიცხვის XIV სა-
უკუნითაა დათარიღიბული და წარმოადგენს კი-
კულიშ მიტანელის ტრაქტატს ცხენის მოვ-
ლა-პატონობის შესახებ. ამ ძეგლში დაწვრი-
ლებითაა განხილული ცხენის მოვლა-პატონიობისა
და გახედვნა-გაწრთვნის ყველა ძირითადი საკით-
ხი; ამდენად იგი წარმოადგენს მდიდარ წყაროს
ცხენოსნური სპორტის ისტორიის ჟდენელესი პე-
რიოდის შესწავლისათვის და უტყუარ საბუთს
იმ დიდი ოოლის შესახებ, რომელიც შეასრულეს
ქართველების წრნაპრეცმა საერთოდ მეცხენეო-
ბისა და კერძოდ ცხენოსნური სპორტის განვითა-
რების საქმეში¹.

ერთ-ერთი ასევე ადრინდელი ცნობა ქართვე-
ლების შეუძლიანი ცხენების მოწენების შეახებ
ავ. წ. პირველი ათასწლეულიდან მოდის; ამ ცხე-

¹ B. Hrozný, L'entraînement des chevaux..., Archiv Orientální, V. III, № 3, Praha, 1931, გვ. 439—461.

ნებით ტაბალები ხარჯს უხდიდნენ ასურეთის¹. შორეულ საბერძნეთში ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნეები ცნობილი იყო. რომ კოლხეთში ასპარეზი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ეჩტყა. კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რამდენას და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ ხოლმე².

ცხენოსნური სპორტის განვითარების მაღალი დონე ძველ საქართველოში დასტურდება უფრო მოგვიანო ცნობებითაც; ფარს მან II-ს, რომელმაც. სხვათა შორის, გააქვირვა რომაელები მხედრული ხელოვნებით, მარსის მოედანზე ძეგლი დაუდგეს³. ოთხიოდე საუკუნის შემდეგ ბერძენი ისტორიკოსები კვლავ ადასტურებენ აქ კეთილმოწყობილი იპოდრომის არაებობის ფაქტს⁴.

საქართველოში ფეოდალიზმის გამარჯვების შემდეგ ცხენოსნურმა სპორტმა განვითარების უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია. განვითარებული ფეოდალიზმის დროის მხატვრული ლიტერატურის

¹ D. Luckenbill, Ancient Records of Assyria and Babylonia, Chicago 1926—1947, vol. I, §§ 772, № 1, 80; vol. II, §§ 7-1, 848, 911; შერ. ი. ჯავახიშვილი, დასახლებული შრომა, გვ. 77.

² ა. როდოსევილი, არგონავტიკა, ა. ურუშაძის გამოცემა, თბილისი, 1948 წ., გვ. 148—49.

³ Латышев, Известия..., ВДИ, № 2, 1948 г., გვ. 277.

⁴ ს. ყაუზჩიშვილი, პროკოპი, ქასარიელის ცნობები საქართველოს შესახებ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, ტ. VII, ტფილისი, 1953 წ., გვ. 146—147.

ძეგლებში საამისო საბუთის მიკვლევა ძნელი ით
არის. ძნელბედობასაც ვერ მოუმლია საქორთვე-
ლოში სპორტის ეს სახეობა; XVII საუკუნის დო-
კუმენტები ამის სასაჩვებლოდ არა ერთს ცნობას
შეიცავს¹. ასეთსავე სერათს გვიხატავს სხვა მრა-
ვალი აღწერილობაც. შარდენი ამბობდა მეგ-
რელების შესახებ: „ისინი კარგი მებრძოლები და
მხედრები არიან“-ო;² კართველთა ყოფის ეს და-
მახასიათებელი მხარე კარგად აქვთ შემჩნეული
რეს ავტორებს³.

კართველ ისტორიკოსთა შორის დავასახელებით
ვახუშტია, რომლის ოღწერილობით ცხენოსნუ-
რი სპორტის სხვადასხვა სახეობას მნიშვნელოვანი
ადგილი პქონდა დათმობილი საილდგომო წეს-
ჩვეულებებში;⁴ ცხენოსნური სპორტის ორგანიზა-
ცია სახელმწიფო ზრუნვის საგანს წარმოადგენდა;
მას, როგორც ეტყობა, ყორჩიბაში ედგა სათავე-
ში. ყორჩებს საამისო სარგოც ეძლეოდათ. ბა-
ქარი წეს ამილახვრის შვილს: „როდე-
საც მაყაზედ მობურთალს ფარჩა დაოჩეს დაუხე-

¹ თ. შორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფილისი, 1897 წ.,
გვ. 497.

² Путешествие Шардена по Закавказию в 1672—
1673, Т., 1902 г., გვ. 51—52.

³ Буриашев С., Картини Грузии..., Т., 1896 г., გვ. 4.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა სა-
კართველოსა, თბილისი, 1941 წ., გვ. 21—22.

ვალი, ის ერთი ფარჩა თქვენ უნდა მოგეცეს¹. ესა
და ამ რიგის ფაქტები მაუწყებელია იმ უარადვე-
ბისა, რომელიც ეძუეოდა საქართველოში ცხენოსა-
ნურ სპორტს, როგორც სახელმწიფო გენერაცი მნიშ-
ვნელობის საქმეს.

ამ რიგის ცნობათა გამრავლება ძნელი არ არის;
აქ მოყვანილ ქართულსა და არაქართულს, სხვა-
დასხვა დროისა და ხასიათის დოკუმენტებში და-
ცული ცნობები კფიქრობთ საქართვისია იმის მტკი-
ცებისათვის, რომ ქართველი ხალხის ყოფაში, მისი
ხანგრძლივი არსებობის მთელ მანძილზე, ცხენოს-
ნური სპორტი მუდამ იდგა განვითარების მაღალ
დონეზე და შეადგენდა მისი კულტურის ერთ-ერთ
დამხასიათებელსა და ორგანულ ელემენტს.

მაგრამ ის მხედრული ვარჯიში, რომელიც ამ-
ჟამად წენი ყურადღების საგანია, არ წაომოად-
გენს მხოლოდ ცხენოსნური სპორტის სახეობას.
მასში ჩაითულია მეორე სპორტული თამაში, სა-
კუთრივ ბურთაობა ჩოგნით. ამდენად ჩოგანბურთი
განხილული უნდა იყოს როგორც რთული სპორ-
ტული თამაში, შემდგარი სულ ცოტა ორი ელე-
მენტისაგან. ეს შეორე ელემენტი — ბურთაობა ჯო-
ნით — საქართველოში ასევე ფართოდ იყო გავრ-
ცელებული, ძველთაგან მომდიხარე ჩანს და ქარ-

¹ საქ. სახელმწიფო მუსუმის ჩელნაწერთა ფონდი Ad.
№ 1319.

თოლი ხალხური ყოფის დამახასიათებელ ელემენტს
წარმოადგეს.

ბურთობის კველა სახეობათაგან, რომელმაც
დამოწმებულია ქართველი ხალხის ყოფაში, ჯოხ-
ბურთს პირველი ადგილი ეჭირა.

აღმოსავლეთ საქართველოში „ლორობია“-ს სა-
ხელწოდებით ცნობილი ჯოხბურთი აღწერილია-
ზ. გულისაშვილის მიერ¹. „ლორობია“-ს ამ-
ვარიანტის სიუკეტის მიხედვით მოთანაშე — „მე-
ლორე“, ჯოხის საშუალებით ცდილობს შეაგდოს
ბურთი („ლორი“) მიწაში ამოთხრილ ორიოში
(„სალორე“). ამ თამაშის დანარჩენი მონაწილენი
ასეთივე ჯოხებით ხელს უშლიან „მელორე“-ს და
ცდილობენ წაართვან მას „ლორი“. ამავე რიგისა
და სახელწოდების თამაში 1925 წელს აღწერილ-
დამუშავებულია დასავლეთ საქართველოს მასალის
მიხედვით გ. მერკვილაძის მიერ სასკოლო
ასაკის ბავშვთათვის². მის მიერვე დამოწმებულია ამ
თამაშის მრავალი სხვა ვარიანტი „ლორობია“-ს,
„მელორეობა“-ს და სხვ. სახელწოდებით.

აქაც თამაშის სიუკეტის ძირითადი მოტივია
მელორის მიერ ბურთის (ლორი) ორმოში (სალორე)

¹ Гулисов З., Об игрушках, играх и разных детских забавах, встречающихся в Грузии, СМОМШК, 5, Т., 1886 г., 23. 245.

² გ. მერკვილაძე, უხელესი ქართული თამაში, ტფრ-
ლისი, 1925 წ., გვ. 1—2, შდრ. მისივე, ქართული მოძრავი
თამაშობაზი, ტფ., 1922, გვ. 40.

შეგდება ჯოხის საშუალებით. აღმოსავლეთ შა
ქართველოში ჯოხბურთი ოღწერილია 6. ში მნია-
შვილის მიერ; იქ ეს თამაშობა ცნობილია კო-
რობია¹-ს, „კომბლაობა“-ს, „ორმობია²-ს და სხვ.
სახელწოდებით³. ამავე რიგის თამაშობას კახეთში
„გოთაობა“-ს უწოდებენ⁴.

ლორობია, რომლის ტიპიური სიუკეტი არსე-
ბითად ერთ მოტივს იმეორებს (მელორის მიერ
ლორის შეგდება სალორეში) ხალხური გააზრიანე-
ბით, ქართველი ხალხის მეურნეობის ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი დარგის ამსახველია. კულტურულ-
ისტორიულის თვალსაზრისით ამ სიუკეტს ღრმად
უნდა ჰქონდეს გამდგარი ფესვები; იგი ორგანუ-
ლად უკავშირდება ქართველი ხალხის უძველეს
წარმოდგენათა იმ კომპლექსს, რომელშიაც გარკ-
ეული ადგილი ჰქონდა დათმობილი ლორს, რო-
გორც ნაყოფიერების იდეის ერთ-ერთ კონკრეტულ
გამოსახულებას.

ასე, მაგალითად, გურიაში საახალწლო დღესას-
წაულთან დაკავშირებულ წესჩერეულებათა შორის
ლორს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა;⁵ აქ წესად

¹ ნ. შიშნიაშვილი, ქართული ხალხური მოძრავი თა-
მაშობანი, საქ. სსრ ფიხურელტერის სამეცნიერო-კულტურითი
ინსტიტუტის არქივი, № 48 (ხელნაწერი).

² ს. ტ. მენთეშაშვილი, ქისაური ლექსიკონი, თბი-
ლისი, 1943 წ., სიტუასოან გოთაობა.

³ Мамаладзе Т., Народные обычай и поверья
туркменцев, СМОМПК, 17, Т., 1893 г., ვგ. 33—34.

ჰქონდათ შემოლებული ღორის თავის გატანა ვენახში
და „აგუნა“-ს მიმართ ასეთი მოწოდების წარმოთ-
ქმა: „აგუნა, აგუნა, ჩამოიარე: ბაბუას კარები ჩა-
მოიარე! ჩვენს მამულს ამოტენა (იყვანენ ხელში
ყმაწვილს) მტევნები, სხვის მამულს ჩხერგი და
ფურცლები“.

აქვე დადგენილია საგანგებოდ გასუქებული ღო-
რის დაკვლა ბასილობაზე. ამ რიგის ფაქტები სა-
მეგრელომიაც არის დამოწმებული. ზოგთა და-
კვირვებით მეგრელთა ეს წაომოდგენები მუხის
კულტს უკავშირდება¹. იგივე ითქმის იმერეთის
შესაძებაც, სიღაც დადასტურებულია წესჩვეულება
(ზოგი გუარისათვის აუცილებლად შესაძრულებე-
ლა), რომლის მიხედვით ავადმყოფის პატრონს
გოჭი უნდა გამოეყვანა და გაეშვა მინდორში².
იმერეთშივე ღორი წარმოადგენდა საქორწინო
წესჩვეულების აუცილებელ ელემენტს³. რაჭაში
დადგენილი წესჩვეულება თოფის „გაბრუნდების“
შემახვევაში მისი სალორეში შეგდებისა ამავე რი-
გის ფაქტებს განეკუთვნება⁴.

¹ ს. მაკალათია, სამეცნიეროს ისტორია და ეთნოგრა-
ფია, თბილისი, 1941 წ., გვ. 300—301.

² Сагарадзе М., Обычай и верования в Имеретии, СМОМПК, 26, Т. 1899 г., გვ. 16.

³ Хускивадзе Ф., Местечко Квирихи..., СМОМПК 19, Т., 1894 г., გვ. 176.

⁴ აღ. რობაქიძე, კოლექტიური ნატირობის გადმო-
ნაშები რაჭაში, თბილისი, 1941 წ., გვ. 167—168.

ინგილოელთა ყოფაშიაც კი. რომლებიც გაო-
კვეული დროის მანძილზე მაჰმადიანური სამყა-
რას გარემოცვაში იმყოფებოდნენ, ლორს დოლუ-
ხანს არ დაუკარგავს ზემოაღნიშნული მნიშვნელო-
ბა; ძველად აღდგომის პირკელ დღეს. გახსნილე-
ბის მიზნით, ინგილო ჩაიდებდა პარში ლორის
ხორცის ნაკერს, დალეჭავდა მას და უკანვე გად-
მოაკურთხებდა¹. ეს ფაქტი ნათლად და ამავე
დროს მეტად თავისებურად ასახავს ინგილოს ორ-
გვარ დამოკიდებულებას ლორისადმი.

ისევე, როგორც თევზის კულტის სფეროში²,
აქაც თავს იჩენს გაღმონაშოთის სახით ლორისადმი
დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულების ფაქ-
ტები, რაც ზემომყვანილ მასალასთან ერთად
ძველად ლორის ტაბუაციის პრაქტიკაზე უნდა მიუ-
თოვებდეს.

ხევსურეთში, მაგალითად, დამოწმებულია აშკა-
რად უარყოფითი დამოკიდებულება ლორისადმი.
ლორი აქ „უწმინდურ“ არსებად იყო მიჩნეული;
მისი ხორცის მჭამელს, ხევსურთა ძველი წარმოდ-
გენით, „ხატი არ გაახარებდა“³. იმავე დროს ძვე-

¹ მ. ჯანაშვილი, საინგილო, უძველი საქართველო, ტ. II. ტფილისი, 1911—1913 წ., გვ. 179.

² Робакидзе А., К вопросу о пережитках культа рыбьи, „Советская этнография“, № 3, 19-8 г., გვ. 124—125.

³ მ. ბ. ლი - ური, ესაქონლეობასთან დაკავშირებული
წარმოულებები ხევსურეთში, საქ სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ინსტიტუტის ეროვნულაფიის განკოფილების პრ-
კივე, რვეული № 5 (ხელნაწერი).

ლად ხევსურებიც ლორს უყურებდნენ როგორც „ავი
სულების“ საწინააღმდეგო ძალას და ამ წარმოდ-
გნათა შესაბამისად ბავშვის აკვანზე ლორის ეშვე
კიდებდნენ, ე. ი. ლორის ნაწილს აპოტროპეულ
(დაცვით) ფუნქციის მიაწერდნენ და მას ამულე-
ტაჲ ხარობდნენ.

მსგავსი მდგომარეობა დამოწმებულია სვანეთ-
შიც. ძველად აქ არსებობდა წარმოდგენა ლორის
მფარველის შესახებ, რომელსაც გარკვეულ დღეს
ლორს დაუკლავდნენ და პურებს გამოუცხობდნენ¹.
ამავე დროს, დოც. ვ. ბარდაველიძის დაკვირ-
ვებით, აქვე აღკვეთილი იყო ლორის დაკვლა მიც-
ვალებულთან დაკავშირებული წესჩვეულების შე-
სრულების დროს იმ საბაბით, ვითომ „ხილი საი-
ქიოსკენ ვიწროა და ლორი ვერ გაეტევაო“².

ლორისადმი ამგვარი დამოკიდებულება, მიუხე-
დავად იმისა დადებითია იგი თუ უარყოფითი,
ერთნაირი დამაჯერებლობით მიუთითებს იმ თა-
ვისებურ მნიშვნელობაზე, რომელიც ჰქონდა მი-
ნიჭებული ლორს ქართველი ხალხის უძველეს წარ-
მოდგენებში. ეს გარემოება წერილობითი წყაროე-
ბის მონაცემებითაც დასტურდება. -კელმწიფის კა-
რის გარიგებაში“ დაცული აღწერილობით ლორის
თავს საახალწლო რიტუალში მნიშვნელოვანი ად-

¹ XXX. Iვანთა ხოგი წესჩვეულება, „ივერია“, 1886 წ.,
№ 143 - 146.

² ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხერ დღეობათა ქალენ-
დარი, II, ლიფანალი—მიცვალებულთა დღეობა წელნაწერი.

გილი ეჭირა¹. ეს საახალწლო წესჩვეულება ვა-
ნუშტრისაც აქვს აღწერილი².

აქვე აღსანიშნავია, რომ სვანურად ფურზ ნიშ-
ნავს „ლორ“-ს და ამავე დროს „წმინდა“-ს.

ლორთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა კონ-
ცუნტრაცია საახალწლო დღესასწაულის გარ-
შემო, ლორის კავშირი ვენახის მოშენებას-
თან გურულ აგუნობაში, რაჭული წესჩვეულება
სალორეში თოფის შეგდებისა ნანადირევის გამ-
რავლების მიზნით, ლორის ადგილი საკორ-
წინო რიტუალში და სხვა, თვალნათლივ უჩ-
ვენებს ამ წარმოდგენათა კავშირს ნაყოფიერების
იდეასთან, რომლის ერთ-ერთ კონკრეტულ გამო-
ხატულებად, როგორცა ჩანს, ლორი იყო მიჩნეული.

მაშასადამე, ლორობიას სახელით ცნობილი თა-
მაშობა თავისი ლექსიკური შასალით, სიუკეტის
თავისებურებით და კულტურულ-ისტორიული
მნიშვნელობით სრულიად ბუნებრივად უკავშირ-
დება ქართველთა უძველეს წარმოდგენებს, მათი
უძველესი შეხედულებების ერთს ორგანულ ნაწილს
შეადგენს და ამდენად მიჩნეული უნდა იყოს რო-
გორც ერთ-ერთი ადრინდელი ქართული ხალხური
თამაშობა.

ჯოხბურთის ზემოხსენებულ ფორმებთან ერთად,
ჩენი თემის თვალსაზრისით, განსაკუთრებული

¹ კელმწიიუის გარის გარიგება, ექ. თაყაიშვილის გა-
მოცემა, ტფილისი, 1920 წ., გვ. 1.

² ვ. ბაგრატიონი, დასახ. შრომა, გვ. 21.

ინტერესის შემცველია გურული „ქაკუნობა“, რომ-
ლის სრული აღწერილობა ტ. მამა ლაძიები და-
გვიტოვა¹ და რომლის დღესაც არსებობა გ. ლომაშ-
თათიძე მ დაადასტურა². ცნობები „ქაკუნობის“
ზესახებ მოიპოვება აგრეთვე გ. მერკვილაძის
ზემოთ დასახელებულ შრომაში — „უძველესი ქარ-
თული თამაში“, ლ. ესაკიას სტატიაში, რომლის
მიერ მოყვანილია სათანადო გურული დიალექ-
ტოლოგიური მასალა³ და სხვ.

ტ. მამა ლაძის აღწერილობით „ქაკუნი“ ნიშ-
ნავს ბოლომოლუნულ ჯოხს 90° -დან 130° -მდე;
მისი სიგრძე დაახლოებით ერთი მეტრია. ყო-
ველი მოთამაშე „ქაკუნს“ თვითონ იმზადებდა თა-
მაშობის დაწყებამდე, ხოლო ზოგი მას დიდმარ-
ხვაში იმარაგებდა და ხშირად ერთი „ქაკუნით“
რამდენიმე წლის მანძილზე თამაშობდა.

ორ ბანაკად გაყოფილი ბაგშეები შეიარაღდე-
ბოდნენ „ქაკუნებით“, დანიშნავდნენ სათამაშო
მოედნის საზღვრებს — „ლელოს“ და ცხენისა თუ
ძროხის ბალნისაგან მოთელილ ბურთს გაათამა-

¹ მამა ლაძე ტ., დასახულებული შრომა, გვ. 52.

² გ. ლომთათიძე, ქართული ხალხური ფიზიკურულია,
საქ. სსრ ფიზიკურულის სამეცნიერო კელევითი ინსტიტუტის
არქივი, № 14 (ხელნაწერი).

³ ლ. ესაკია, უმართებულოდ დავიწყებული თამაშობა,
„სახალხო გ. ნ. თლება“, 1948 წ., № 30.

შებდნენ. ყოველი მხარე ცდილობდა ბურთი თა-
ვის ლელოში გაეტანა¹.

გურული ჭაკუნობის ეს თავისებურება (ბურ-
თის გატანა თავის ლელოში) ახსნას პოულობს
ლორობიას მხოლოდ იმ ვარიანტებში, რომელთა
სიუქეტის მიხედვით მელორე ლორს (ბურთს) თა-
ვის საღორეში (ორმოში) მიერჩევება.

სიუქეტის ეს თანხედრილობა და ძირითადი
იარაღის ხაზით არსებული მსგავსება საფუძველს
იძლევა ვიფიქროთ, რომ „ჭაკუნობა“ ძეელ-ქარ-
თული ხალხური ლორობიას განვითარებულ სა-
ხეს წარმოადგენს. ჭაკუნობის ძეელ ტრადიციაზე,
სხვათა შორის, მიუთითებს მისი მოედნის საზღ-
ვრების სახელწოდებაც „ლელო“, რომელიც ას-
ტრალური ლვთაების სახელწოდებას უკავშირდება.

ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ
სხვა ამ რიგის თამაშობათაგან ყურადღებას იპ-
ყრობს კიდევ ერთი სახეობა ბურთაობისა, რომელ-
საც ამხედრებული მოთამაშენი ასრულებენ ბურ-
თით, მაგრამ უჩინვნოდ. ეს თამაშობა აღწერილია
XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში დ. ბარ-
ნაბიშვილის მიერ სამეგრელოში და წარმო-

¹ ა. რობაჭიძე, გურული ჭაკუნობა, საქ. სსრ ფიზ-
კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივი,
1950 წ., № 88 (ხელნაწერი).

ადგენს ლელოს ცხენოსნურ სახეობას
მსგავსი თამაში საქართველოს სხვა კუთხეებშიაც
არის დამოწმებული¹.

ცხენოსნური ლელოს არსებობის ფაქტი საქართველოში ყურადღების ღირსია. ცხენოსნური ლელო, ჩენის აზრით, ცხენოსნობისა და ბურთაობის შერწყმის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. მომდევნო საფეხურზე, როგორც ჩანს, ამ თამაშობას ჩოგანიც დაემატა, ხოლო ჩოგნით ქვეითად თამაშის ფაქტი თეიმურაზ ბაგრატიონის ზემომოყვანილ ცნობაშია დაცული.

უთუოდ საინტერესოა ამავე რიგის მოვლენათა შორის ზ. შერეზადიშვილის მიერ ლექსუმში ჩაწერილი „კოშლაობა“ და ხევში დამოწმებული „კორჯოხობა“², რომელთა წესების მიხედვით ერთმანეთის მხრებზე ამხედრებული ბავშვები ბოლომოლუნული ჯოხებით ბურთს აგორებენ მიწაზე; მაგრამ ჩოგანბურთის მიმბაძველობას წარმოადგენს ეს თამაშობა თუ მის განუვითარებულ ფორმას — ამგამად პასუხის გაცემა ძნელი იქნებოდა.

ამგვარად, ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადგენილია ცხენოსნური სპორტის განვითარების მაღალ დონესთან ერთად ჯოხბურთის მრავალი და

¹ მ. გორგაძე, ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1946 წ., გვ. 27—28.

² ს. მაკალათია, ხევი, თბილისი, 1934 წ., გვ. 172.

ნაირნაირი ვარიანტი; სპორტული გართობა-ვარ-
ჯიშობის ეს ორივე სახე ძველთაგან მომდინარეა
და ქართველი ხალხის ყოფის ორგანულ ელემენ-
ტებს წარმოადგენს. ამასთან ერთად, აქვე ღამოწ-
მებულია ცხენოსნური ლელო, როგორც მარტივი
ფორმა ცხენოსნობის და ბურთაობის შერწყმისა
და მობანდული ჩოგნით ქვეითად თამაში; ამის
შემდეგ ცხენოსნურ ჩოგანბურთამდე მხოლოდ
ერთი ნაბიჯია გადასადგმელი.

ამასთან კავშირში ყურადღების ღირსია ის გა-
რემოებაც, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ მასა-
ლაში თავს იჩენს ამ სპორტული გართობა-თამა-
შობის ძირითადი იარაღის (ჩოგნის) გარდამავალი
ფორმები, რომელებიც ასახავენ უმარტივესი ია-
რაღიდან ურთულეს იარაღისაკენ თანმიმდევარი
გადასელის პროცესს. ასეთია: უბრალო და ბო-
ლოგამსხვილებული ჯოხი, რომელიც ხმარებაშია
ღორიობიას თამაშის დროს, შემდეგ — ბოლომოხ-
რილი ჯოხი, როგორც ჭაკუნობის დამახასიათე-
ბელი იარაღი და ბოლოს იგივე ბოლომოხრილი,
მაგრამ ბოლოში ამობანდული იარაღი, რომელიც
ქართულ ჩოგანბურთს ახასიათებს.

შემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინების
შედეგად, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული
საეპრაულო მოსაზრება, რომ ჩოგანბურთის იმ
სახეობის ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც
XVII საუკუნიდან მოყოლებული ქართული ჩოგ-

ნის სახილწოდებით იყო ცნობილი, გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ქართული ცხენოსნური სპორტის ძელთაგან მომღინარე ტრადიციებსა და ქართული ხალხური ჯოხბურთის ფორმათა სიმრავლეს.

IV

ისტორიულად ჩამოყალიბებული სპორტის ნაციონალური სახეები ხალხური შემოქმედების ნაყოფია; სპორტის თანამედროვე სახეების უმრავლესობა გენეტიკურად ხალხურ სპორტულ თამაშობებს უკავშირდება. ცალკეული სპორტული თამაშობა ამა თუ იმ კულტურულ-ისტორიულ გარემოში მისი წარმოშობისა თუ დანერგვის შემდეგ თავისებურ ფორმად ყალიბდება და შემდგომი განვითარების პროცესში ნაციონალური კულტურის დამახასიათებელ ელემენტად იქცევა.

კლასობრივი საზოგადოების პირობებში რიგი თამაშობა სათანადო ცვლილებას განიცდის, მაგრამ ყველა შემთხვევაში ხალხური შემოქმედების ეს დარგი და განსაკუთრებით კი ხალხური სპორტული თამაშობები მუდამ ინარჩუნებს ფიზიკური აღზრდის მძლავრი საშუალების პოტენციას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ყოფა ამ მბრივაც წარმოადგენს მდიდარ საგანმურს, რომელშიაც დაუნჯებულია ხალხური შემოქმედების ამ დარგის მრავალი ფასეული მონაპოვარი და რომელიც ამავე

დროს ფიზიკური აღზრდის თანამედროვე საშუალებათა განდიდრების დაუშრეტელი წეართა.

მაგრამ სპორტის ნაციონალური სახეების მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოიწურება; თუ სპორტის ამ სახეებს ხალხის ყოფის დამახასიათებელ ელემენტებად ვაღიარებთ, სოციალისტური საზოგადოების პირობებში მათ გარკვეული როლიც დაეკისრება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში. ჩაშანებული ამნანავ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ „ბელი უნდა შევუწყოთ ნაციონალურ კულტურებს განვითარდნენ და გაიზალონ, გამოავლინონ მთელი თავისი პოტენცია“...¹ სპორტის ნაციონალურ სახეებსაც შეეხება, როგორც ნაციონალური კულტურის ერთ-ერთ ელემენტს.

უფრო მეტის თქმაც შეიძლება. ფიზიკური კულტურა სოციალისტური კულტურის ნაწილია და კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება; ამასთანავე, იგი წარმოადგენს ხალხური შემოქმედების გარკვეულ ფორმას და, მაშასადამე, ნაციონალური კულტურის ელემენტს. ხოლო „პროლეტარული კულტურია კი არ უარყოფს ნაციონალურ

¹ ი. სტალინი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში, საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობას, ლენინიზმის საკითხები, თბილისი, 1935 წ., გვ. 506.

კულტურას, არამედ შინაარსს აძლევს მას, და, პირიქით, ნაციონალური კულტურა კი არ უარყოფს პროლეტარულ კულტურას, არამედ ფორმას აძლევს მას¹.

სწორედ ამიტომ არის, რომ სოციალისტური კულტურის მშენებლობისა და კერძოდ საბჭოთა სპორტის შემდგომი განვითარების პროცესში ნაციონალური კულტურების ამ მონაპოვართა მნიშვნელობა და ინტენსიურობა — ინტენსიურობა — უმატები იყულად ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა სპორტის ძირითად სახეთა შორის, ისევე, როგორც საბჭოთა ფიზიკური აღზრდის სისტემაში საერთოდ, სპორტის ნაციონალურ სახეებს მათვეის შესაფერი ადგილი ეთმობა.

ამ თვალსაზრისით საკითხი სპორტის ნაციონალური სახეების შესახებ, საბჭოთა ფიზიკური აღზრდის თეორიის უშუალო ამოცანათა რეალში ეცევა და მისი ერთ-ერთი აქტუალური პრობლემის მნიშვნელობას იღებს.

ამგვარად, სპორტის ნაციონალური სახეების განვითარება-გაერცელება ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის მშენებლობის ერთ-ერთი მომენტია. სპორტის ნაციონალური სახეები, ამასთან ერთად, წარმოადგენენ

¹ ი. სტალინი, აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ, თბილისი, ტ. VIII, გვ. 152.

ფრიზიკური ილჩრდის, თანამედროვე საშუალებათა
შევსება-გამდიდრების უშრეტ წყაროს. ამ დარგშიც
ცალკეული ნაციონალური კულტურების მიღწე
ვათა ათვისება მოძმე რესპუბლიკების მიერ საბ-
ჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა-თანამშრომ-
ლობის ერთ-ერთი მომენტია.

ქართული ხალხური სპორტის გამოვლინება-შეს-
წავლასა და გამოყენებას საფუძველი ჩაეყარა
[redacted] საქ. კ. პ.

(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დე-
კემბრის დადგენილება ამ დარგშიაც ითვალისწი-
ნებდა მუშაობის გაფართოებასა და გალომავებას.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფი-
ზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომი-
ტეტმა და საქ. სსრ ფიზკულტურის სამეცნიერო-
კვლევითმა ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი სამუშაო
ჩაატარეს სპორტის ქართული სახეების გამოვლი-
ნება-შესწავლისა და გადამუშავება-დანერგვის
საქმეში.

ქართული სპორტის ისტორიისა და ხალხური
თამაშობების საქითხებს სპეციალური გამოკვლე-
ვები მიეძლვნა. სისტემატური მუშაობა წარმოებს
თანამედროვე ყოფაში შემონახულ ხალხურ თამა-
შობათა გამოვლინებისა და მათი შესწავლის ხაზით.

სადღეისოდ საქართველოს სსრ ფიზკულტურის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდებში
თავმოყრილია აღწერილობა მრავალი ასეული ხალ-

ხური თამაშობებისა, რომელთა ნაწილი მათი ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ თანდატანობით ინერგება ფიზიკური აღზრდის თანამედროვე პრაქტიკას. ხალხური თამაშობების საფუძველზე ეწყობა სპორტული დღესასწაულები¹, ისინი ფეხსიკიდებენ სტუდენტთა სპარტაკიადებში², მათ ფართო აღვილი ეთმობა სკოლებში.

ბუნებრივია, რომ სპორტის ქართულ ნაციონალურ სახეობა შორის მთავარი ყურადღება პირველყოვლისა ცხენოსნურ სპორტს მიექცა. ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შედეგად პირველ რიგში შესწავლილი და აღდგენილი იყო „ისინდი“ (მაშინ ჯერ კიდევ ჯირითად წოდებული), რომლის აღწერილობა და წესები 1938 წელს გამოქვეყნდა³. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ასევე დამუშავდა და გამოქვეყნდა „ყაბახი“-ს აღწერილობა და შეჯიბრების წესები⁴.

„ჩოგანბურთ“-მა კარგა ხანია რაც მიიპყრო ყურადღება⁵. თავდაპირველად ამ სპორტული თა-

¹ ნ. შიშნია შვილი, ქართული ხალხური თამაშობანი, გან. „სახალხო განათლება“, 1951 წ., № 5.

² დამთავრდა უნივერსიტეტის სპარტაკიადა, განვითარ. „კომუნისტი“, 1951 წ., № 111.

³ ჯირითი, თამაშის წესები, თბილისი, 1938 წ.

⁴ ყაბახი, თამაშის წესები, თბილისი, 1939 წ.

⁵ შდრ. გ. მერკვილაძის ხიერ აღწერელი „ცხენ ჩოგნიბა“, ქართული მოძრავი თამაშობანი, დასხელებული გამოცემა, გვ. 62—63.

მაშობის შეჯიბრების წესები შემუშავებული იყო
მ. ჭავჭავაძის და ი. კიზირიას მიერ. ეს
წესები შემდეგში არა ერთგზის დაზუსტდა და
გარკვეულ ნაწილში ჯერ კიდევ მოითხოვს მუშა-
ობას მათი საბოლოოდ დახვეწის მიზნით.

სამიერ შემოხსენებული ცხენოსნური სპორტული
თამაშობის წესების უკანასკნელი ვარიანტი გამო-
ქვეყნებულია 1950 წელს².

ეს ნაშრომი საქართველოს სსრ ფიზკულტურის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1949 წლის
გეგმით დამუშავდა და პირველად წაკითხული იქნა
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ.
ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეც-
ნიერო სესიაზე (1949 წ. 17 ნოემბერს); მისი შე-
მდგომი განვიწოდა მიზნად ისახავდა ამ სპორტული
თამაშობის ისტორიული სურათის აღდგენას და
მასთან დაკავშირებული რიგი კულტურულ-ისტო-
რიული საკითხის გარკვევას, კერძოდ, ამ სპორტული
თამაშის გენეზისის გარკვევის ცდას³.

¹ ი. კიზირია და მ. ჭავჭავაძე, ცხენოსნური სპორტი, თბილისი, 1946.

² ქართული ხალხური სპორტული თამაშობების ცხენბურთის, ისინდის, ყაბაზის წესები, თბილისი, 1950 წ.

³ Сессия Ученого Совета Института истории АН Груз. УСР, посвященная вопросам этнографии Кавказа, Тезисы докладов, Тбилиси, 1949 г., гл. 6—7.

მაგრამ „ცხენბურთის“ სრულყოფილი სახეოთ
ჩამოყალიბების მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია
გასაკეთებელი. „ცხენბურთი“ ცხენოსნური სპორტი
ტის ურთულესი ფორმაა და მისი მდიდარი სპორტული
თუ სანახაობრივი თვისებების სრული გა-
მოვლინება ამ თამაშობის წესების შემდგომ და-
ზუსტებას და ტექნიკის სრულქმნას მოითხოვს.
შესასწავლია მაგ., თვითონ ჩოგანი; მისი ბალის
უფრო მეტად დაჭიმვა საშუალებას მიცემდა მხედ-
რებს უფრო შორს, უფრო ზუსტად ეტყორცნათ
ბურთი და შეტევა თუ დაცვა უფრო ფართო ხა-
ზით ეწარმოებინათ. ამით თავიდან აცილებული
იქნებოდა მოთამაშეთა ერთ აღვილას შეჯგუფება,
რაც მეტად ბორკავს თამაშის მსვლელობას.

ყურადღება უნდა მიექცეს სათამაშო მოედნის
როგორც ფართობს აგრეთვე, განსაკუთრებით, მის
ნიადაგს, რაღაც უსწორო ნიადაგი ხშირად მი-
მართულებას უცვლის ბურთს და თამაშის ინტე-
რესს ანელებს. ქართული ნაციონალური კოსტუ-
მების მდიდარი და მრავალნაირი გარდერობიდან
სასურველია ისეთი ტანსაცმლის ამორჩევა, რომე-
ლიც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მოთამაში-
სათვის. საჭირო იქნებოდა თამაშის წესების გა-
დასინჯვაც მათი დაზუსტების მიზნით. განსაკუთ-
რებული მზრუნველობის საგანი უნდა გახდეს თა-
მაშის ტექნიკური და ტაქტიკური სრულქმნა,

რისთვისაც საჭიროა ვარჯიშობის წესების გამო-
მუშავება და გუნდების სისტემატური წროვნა. ამ
ამ ძელ ქართულ სპორტულ თამაშობასთან დაკავშირ
კავშირებული რიგი კულტურულ-ისტორიული მნიშ-
ვნელობის საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

ზემოხსენებული ცხენოსნურ-სპორტული თამა-
შობის საბოლოო ფარიანტის საკითხის გადაწყვეტა
მხოლოდ მისი პრაქტიკული შემოწმების შემდეგაა
შესაძლებელი. ამ მხრივ აღსანიშნავია ის დიდი
ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც ჩაატარა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-
ბული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კო-
მიტეტის ცხენოსნური სპორტის სექციამ; ამ სექ-
ციამ ზემოხსენებულ სპორტულ თამაშობათა საც-
დელ შესწავლასთან ერთად, რომელსაც თან სდევ-
და თამაშობის წესების თანდათანობითი დახვეწია,
უზრუნველყო მათი დანერგვა და გავრცელება სა-
ქართველოს თანამედროვე ფიზკულტურულ პრაქ-
ტიკაში. „ყაბახი“, „ისინდი“ და „ცხენბურთი“
დღეს ქართული ცხენოსნური სპორტის ყველაზე
გავრცელებული სახეებია. მათთვის შემუშავებული
მშობენობა ნორმატივები და სპორტული სათანრიგო
კლასიფიკაცია (სპორტის დამსახურებული ლატა-
ტი გ. ჩიკვაიძე) მიღებულია და დამტკიცებუ-
ლი ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის მიერ.

ლესპუბ-
ლიკური თასის დაწესების შემდეგ სის ატურად


იზრდება ცხენოსნური სპორტის ქართული სახე-
ების მიხედვით შეჯიბრების მონაწილეთა ორილები
ნობა; უკვი ტრადიციად ქცეულ შეჯიბრებებში
სულ მეტი და მეტი გუნდი იღებს მონაწილეობას;
ამ შეჯიბრებებში ქართული კულტურის სიმდიდ-
რის დემონსტრაციისა და სახალხო დღესასწაულის
სახე მიიღო. შეჯიბრებებს [REDACTED]

[REDACTED] ყოველწლიურად ასეთულ თასი
მაყურებელი ესწრება.

1951 წლის აგვისტოში ქართველმა ცხენოსნებ-
მა მოსკოვის მაყურებელს უჩენეს „ყაბახი“ (სურ.
6), „ისინდი“ (სურ. 7) და „ცხენბურთი“
(სურ. 8). ცხენოსნური სპორტის ამ ქართულ
სახეებს დიდი წარმატება ხვდა წილად¹. გაზეთი
„Советский спорт“-ი მოწინავე წერილში წერდა,
რომ საქართველოს მაგალითი სპორტის ნაციო-
ნალური სახეების აღდგენა-განვითარების საქმეში
საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებმაც უნდა
გადაიღონ². საქავშირო ფიზკულტურის კომიტეტმა
დააწესა გარდამავალი თასი, რომელიც მიეცემა
ყოველწლიურად ჩატარებულ შეჯიბრებაში ცხენ-
ბურთელთა გამარჯვებულ გუნდს. ამიერიდან

¹ Гиновицкий Г., Конники Грузии, „Советский спорт“, 1951 г., № 103.

² Всемирные развлекательно-национальные праздники спорта „Советский спорт“, 1951 г., № 108.



Տպա. 6.



52

Fig. 7.



Fig. 6.

საკავშირო შეჯიბრებაში „ცხენბურთ“-ში მოძრე
რესპუბლიკების გუნდებიც მიიღებენ მონაწილეობას.
ეს წარმოადგენს საქართველოში ამ მიმართულებით
ჩატარებული მუშაობის მეტად მაღალ შეფასე-
ბას და ამავე დროს მოითხოვს მუშაობის შემ-
დგომ გაშლა-გაღრმავებას ქართული ნაციონა-
ლური სპორტის ახალი სახეების გამოვლინება-
შესწავლისა და მათი აღდგენა-დანერგვის მი-
მართულებით.

შინაარსით სოციალისტური, ფორმით ნაციო-
ნალური კულტურის აუკავებამ საბჭოთა საქართ-
ველოში ძველთაგან მომდინარე ჯანსაღ სპორტულ
ტრადიციებსაც განვითარების ახალი და ფართო
პერსპექტივა შეუქმნა. ქართული „ჩოგანბურთი“,
რომელიც ძველ საქართველოში არსებითად ფეო-
დალური არისტოკრატიის ხელმისაწვდომ გასარ-
თობს წარმოადგენდა, დღეს საკოლმეურნეო სპორ-
ტული საზოგადოებრიობის, კომუნიზმის მშენე-
ბელთა მასების საკუთრებას და გმირთა ახალი
თაობის აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად იქცა. ამ ძველქართულმა სპორტულმა თამაშობამ მხო-
ლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიიღო
კეშმარიტად ხალხური სახე; ამის გამო იგი გა-
ვიდა საქართველოს ფარგლებიდან და საბჭოთა
კავშირის ხალხთა საკუთრება გახდა.

ტერმინთა საპირისო

- | | |
|--|--|
| აგუნა — 39
ასპარეზი — 13, 34
ასპარეზთბა—გართობა — 14
ბასილობა — 39
ბურთაობა — 12, 13, 17, 25,
28, 32, 36, 37, 44, 45,
46
ბურთი — 8, 13, 15, 16, 17,
20, 24, 25, 26, 27, 29,
37, 44, 53
ბურთიან-ჩოვნიანი — 13
ბურთის თამაში — 26
ბურთის წამლები — 16, 17
ბურთობა — 13, 14, 19, 24
გადრი — 15, 17, 20, 24,
26, 27
გოთაობა — 38
თოფის „გაბრუნდება“ — 39
იპოდრომი — 34
ისინდი — 51, 54, 55
კოვშისმაგვარი ჩოვანი — 4, 8
კომბლაობა — 38
კორჯონობა — 45
კოშლაობა — 45
ლელო — 43, 44 | მაყა — 13, 15, 16, 17, 2
25, 35
„მელობეობა“ — 37
მობანდული ჩოვანი — 4, 18
19, 46
მობურთალი — 13, 16, 35
მოჭირვით ბურთაობა — 16,
17
ნაპირზე მარბენალი — 16,
17
ორმობია — 38
პოლო — 3, 4, 6, 9, 11
პოლო ირანში — 4, 6
რადი — 25, 26
რაღრაბაგანი — 24, 26, 27
rachet(t)a — 19, 27
რეალგაზისნილი ჩოვანი — 20
რეალდახურული ჩოვანი — 20
სახალშოთ წესრეცულება —
42
სალგინი — 32
საელაგან — 3
ფერების ქმნა — 24
ქათალ-მალაკა — 21, 26
ქართული ჩოვანი — 11, 27,
29, 46, 47 |
|--|--|

ქართული ჩოგანბურთი —
 26, 46
 ქიმიკური — 24, 26
 ღორის ტაბუაცია — 40
 „ღორობია“ 37, 38, 42, 44
 ყაბახი — 51, 54, 55
 ჩოგანი — 3, 6, 8, 13, 16,
 17, 19, 20, 25, 26, 27,
 28, 29, 45, 53
 ჩოგანბურთი — 10, 13, 14,
 15, 17, 18, 19, 20, 24, 26,
 27, 29, 36, 45, 52, 59
 ჩოგანი თურქეთში — 9
 ჩოგნით ბურთაობა — 36
 ჩოგნის ბურთაობა — 25
 ჩოგნის გარდამავალი ფორ-
 მები — 46
 ჩოგნის ტარი — 28
 ჩოგგან — 3
 ჩაქუჩისმაგვარი ჩოგანი —
 4, 5, 8, 9
 ცხენბურთი — 53, 54, 55
 ცხენი — 30, 31, 32

1930 წელი

ცხენოსნური ბურთაობა
 29
 ცხენოსნური ლელო — 45, 50, 51
 46
 ცხენ-მალეთ — 25
 ცხენოსნური ჩოგანბურთი —
 46
 კადრაკი — 4
 კაკუნი — 43
 კაკუნობა — 42, 43, 44
 „კირისპატრონი“ — 31
 ხელგარდაყოფით შემოვკ-
 რა — 16, 17
 ხელის დამდები — 16, 17
 ხელ-ჩადათ — 24, 25
 ხელ-უკუღმათა — 16, 17
 ხელ-ფიცხათ — 25
 „ხოლ“ — 18, 19
 „ჯირიდ“ — 3
 ჯირითი — 32, 33, 51
 ჯობბურთი — 37, 38, 42,
 45
 ჯოხით ბურთაობა — 36





ტექნიკური პ. თორამაშვილი
კორექტორი იფ. ხუციშვილი
გამომზები ა. ნინიძე

ვადაეცა წარმოებას 19/XI-51 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
1/II-52 წ. უმ 00125. ანაწყობის ზომა $4,5 \times 7$. ქაღალდის
ზომა 70×92 . სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4.
ტირაჟი 3.000. შეკ. № 801.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
პოლიგრაფიამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯვანიშვილის ქ., № 5.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете
Министров Грузинской ССР.
Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

ფასი 70 კაპ.

ნომინალი — 1952 წ. პრეისკურრანტით



76/
//36

А. Робакидзе

„ЦХЕНБУРТИ“

(на грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1952